თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის
სახელმწიფო უნივერსიტეტის
ი. ვეკუას სახელობის
გამოყენებითი მათემატიკის
ინსტიტუტი
საქართველო
380043, თბილისი, 43, უნივერსიტეტის ქ. 2
ტელ.: (+99532) 303040
ფაქსი: (+99532) 304697
ე-ფოსტა: gord@viam.hepi.edu.ge

VEKUA INSTITUTE
I.Javakhishvili Tbilisi
State University
380043, Tbilisi 43, University St. 2
GEORGIA
Tel.:(+99532) 303040
Fax:(+99532) 304697
e.mail:gord@viam.hepi.edu.ge

76-32-01/391 5.12.2001 წ.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
რექტორს, ბატონ როინ მეტრეველს

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული "ენა, ლოგიკა და მეტყველება" ცენტრის ძირითადი მიზანია კომპიუტერის სრული პროგრამული და მომსახურეობითი მოქცევა ბუნებრივ ქართულ ენობრივ გარემოში. აღნიშნული მიზნით კვლევების ერთ-ერთ სახელმწიფოებრივ პრიორიტეტულ მიმართულებად განსაზღვრას მხარი დაუჭირა საქართველოს პარლამენტის მეცნიერების, განათლების, კულტურის და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარემ ბატონმა ნოდარ ამაღლობელმა. ამ საფუძველზე, აღნიშნული კომიტეტის ინიციატივით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტისა და "ენა, ლოგიკა და მეტყველება" ცენტრის ერთობლივი პროექტი "ბუნებრივი ქართული ენის პირდაპირი ფორმალურ-ლოგიკური აღწერა, ენის როგორც ბუნებრივი სისტემის საფუძველზე" შეტანილ იქნა 2002 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში აუცილებლად გასათვალისწინებელ და დასაფინანსებელ ღონისძიებათა ნუსხაში. ეს ინიციატივა სრულად იქნა გაზიარებული და მხარდაჭერილი საქართველოს სახელმწიფო კანცელარიის კულტურის, განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსის ბატონ კობა იმედაშვილის მიერ, რომელმაც დასაბუთებული თხოვნით მიმართა საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარეს ბატონ ზაზა სიორიძეს აღნიშნული პროექტის განხორციელებისათვის საქართველოს ბიუჯეტში სათანადო თანხის გამოყოფისათვის.

ამასთან დაკავშირებით მოგმართავთ თხოვნით: მხარი დაუჭიროთ აღნიშნული მიმართულების სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების ჩამონათვალში ჩართვის ინიციატივას.

ი. ვეკუას სახ. გამოყენებითი მათემატიკის
ინსტიტუტის დირექტორი,
/ღ. გორდეზიანი/

5.12.01

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**ТБИЛИССКИЙ ГОСУДАРСТВЕННЫЙ УНИВЕРСИТЕТ ИМ. ИВ. ДЖАВАХИШВИЛИ**

---

ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის პროსპ. 1, ტელ. 22-23-71    380028, г. Тбилиси, просп. И. Чавчавадзе № 1. Тел. 22-23-71

ТЕЛЕКС 212912    PT SU

№ 101-01/72-149    „11" 12 2001 წ.

საქართველოს ეკონომიკის, ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრის მოვალეობის შემსრულებელს ქ-ნ ნათია თურნავას

თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახ. უნივერსიტეტის რექტორატს თხოვნით მოგვმართა თსუ-თან არსებულმა ი. ვეკუას სახ. გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორმა, პროფ. დავით გორდეზიანმა მხარი დაგვეჭირა ამავე ინსტიტუტისა და თსუ-თან არსებული ცენტრის „ენა, ლოგიკა და მეტყველება" — ერთობლივი პროექტისათვის: „ბუნებრივი ქართული ენის პირდაპირი ფორმალური ლოგიკური აღწერა, ენის როგორც ბუნებრივი სისტემის საფუძველზე", რომელიც შეტანილია 2002 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში აუცილებლად გასათვალისწინებელ და დასაფინანსებელ ღონისძიებათა ნუსხაში, საქართველოს პარლამენტის მეცნიერების, განათლების, კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის, ბატონ ნოდარ ამაღლობელის ინიციატივით და სრულად გაზიარებულია საქართველოს სახელმწიფო კანცელარიის კულტურის, განთლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსის, ბატონ კობა იმედაშვილის მხრივაც. ინიციატივას მხარი დაუჭირა თსუ-ს ზოგადი და გამოყენებითი ენათმეცნიერების კათედრის გამგემ, აკადემიკოსმა თამაზ გამყრელიძემ.

აღნიშნული პროექტი განხილული და მხარდაჭერილი იქნა საქართველოს ინფორმატიზაციის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის ბატონ დავით თარხან-მოურავის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორის ქ-ნ გუჩა კვარაცხელიას, საქართველოს ენის სახელმწიფო პალატის თავმჯდომარის ბატონ ლევან ღვინჯილიას, თსუ კომპიუტერების მათემატიკური უზრუნველყოფისა და კომპიუტერული ტექნოლოგიების კათედრის გამგის ბატონ ჰამლეტ მელაძის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მართვის სისტემების ინსტიტუტის ენის მოდელირების განყოფილების გამგის ბატონ გიორგი ჩიკოიძის, თსუ მათემატიკის დაფუძნების და მეთოდიკის კათედრის გამგის ბატონ თამაზ თევზაძის, გმი-ს მათემატიკური ლოგიკის და მეთოდიკის განყოფილების გამგის ბატონ ხიმური რუხაიას, საქართველოს მეცნ. აკადემიის აკად. გ. წერეთლის სახ. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის აღმოსავლურ ენათა ტიპოლოგიის განყოფილების გამგის ქ-ნ მარიკა ჯიქიას მიერ.

ამდენად, მიგვაჩნია, რომ ზემოაღნიშნული პროექტი: „ბუნებრივი ქართული ენის პირდაპირი ფორმალური ლოგიკური აღწერა, ენის როგორც ბუნებრივი სისტემის საფუძველზე", მნიშვნელოვანია და სრულად იმსახურებს სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების ჩამონათვალში ჩართვას.

თსუ უნივერსიტეტის პრორექტორი,
პროფ. თემურ ხუროძე

# საქართველოს სახელმწიფო კანცელარია

საქართველოს პარლამენტის
საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის
თავმჯდომარეს ბატონ ზაზა სიორიძეს

ბატონო ზაზა,

საქართველოს პრეზიდენტს თხოვნით მიმართა აკადემიკოს ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორმა აკად. დ. გორდეზიანმა და თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული ცენტრის — „ენა, ლოგიკა, მეტყველება" — კოორდინატორმა ქ. ფხაკაძემ მათი ერთობლივი პროექტის „ბუნებრივი ქართული ენის პირდაპირი ფორმალურ-ლოგიკური აღწერა, ენის როგორც ბუნებრივი აღწერის სისტემის საფუძველზე" დაფინანსების შესახებ.

აღნიშნული პროექტი სარეცენზიოდ გადაეგზავნა არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტს, ენის სახელმწიფო პალატასა და ინფორმატიზაციის სახელმწიფო დეპარტამენტს. სამივე დაწესებულებას მიაჩნია, რომ პროექტი მეტად მნიშვნელოვანია, იმსახურებს მხარდაჭერას და განსახორციელებელია განსაკუთრებით დღევანდელ დღეს. მათ აზრს ჩვენც ვიზიარებთ.

გთხოვთ, განიხილოთ და მხარი დაუჭიროთ აღნიშნული პროექტის განხორციელებისათვის საქართველოს ბიუჯეტში სათანადო თანხის გამოყოფას.

პატივისცემით,

კობა იმედაშვილი
კულტურის, განათლების, მეცნიერებისა
და ახალგაზრდობის საქმეთა
სამსახურის უფროსი

№ 308/20
29. 11. 2001

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
**არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი**
პ. ინგოროყვას ქ. 8, 380008 თბილისი
ტელ: 93-29-21
ფაქსი: 93-45-30
ელ. ფოსტა: root@ike.acnet.ge

„ [illegible] " 11 2001 წ.
№ [illegible]

საქართველოს სახელმწიფო კანცელარიის
კულტურის, მეცნიერების, განათლებისა და
ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსს
ბ-ნ კ. იმედაშვილს

ბატონო კობა,

პროექტი „ბუნებრივი ქართული ენის პირდაპირი ფორმალურ-ლოგიკური აღწერა, ენის, როგორც ბუნებრივი სისტემის საფუძველზე", წარმოდგენილი ი. ვეკუას სახ. გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტისა და „ენა, ლოგიკა და მეტყველება" ცენტრის მიერ, სახელმწიფოებრივ მხარდაჭერას იმსახურებს, რამდენადაც ქართული ენის ე. წ. კომპიუტერიზაცია უმნიშვნელოვანესი პრობლემაა. პროექტი მხარდაჭერას იმსახურებს მით უფრო, რომ ამ მიმართულებით სახელმწიფოს დღემდე არავითარი ხარჯი არ გაუღია. ანალოგიური საკითხების დამუშავება, რაც ნავარაუდევია „ქართული ენის სახელმწიფო პროგრამით" (პრეზიდენტის ბრძანებულება 1999, 14.07. №437), დღემდე დაუფინანსებელია.

პატივისცემით,

გ. კვარაცხელია

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს
ენის სახელმწიფო პალატა

№ [illegible]  „24“ [illegible] 2001 წ.

საქართველოს სახელმწიფო კანცელარიის მეცნიერების,
კულტურის, განათლების და ახალგაზრდობის საქმეთა
სამსახურის უფროსს, ბატონ კ. იმედაშვილს

ბატონო კობა!

საქართველოს ენის სახელმწიფო პალატა გულდასმით გაეცნო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკად. ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტისა და ამავე უნივერსიტეტის სამეცნიერო-საგანმანათლებლო ცენტრის („ენა, ლოგიკა და მეტყველება“) მიერ წარმოდგენილ პროექტს „ბუნებრივი ქართული ენის სრული პირდაპირი ფორმალური აღწერა ენის, როგორც ბუნებრივი სისტემის, საფუძველზე“.

ზემოხსენებული პროექტის განხორციელება მიგვაჩნია საქართველოს სახელმწიფო ენის სრულფასოვანი ფუნქციონირებისა და ქვეყნის ცხოვრების ყველა სფეროში მისი გამოყენების არეალის მაქსიმალურად ათვისების ერთ-ერთ აუცილებელ პირობად, ურომლისოდაც მოსალოდნელია სახელმწიფო ენის შემდგომი განვითარების პროცესების მნიშვნელოვნად შეფერხება; ამდენად, წარმოდგენილ პროექტს მთლიანად მხარს ვუჭერთ.

საქართველოს ენის სახელმწიფო
პალატის თავმჯდომარე [signature] ლ. ღვინჯილია

საქართველოს ინფორმატიზაციის სახელმწიფო დეპარტამენტი

Tel./FAX: (9532) 99-78-66 საქართველო, ქ. თბილისი, კოსტავას ქ. № 77, ინდექსი 380075

№ 04-1/103, 2001 წლის 27 ნოემბერი

სახელმწიფო კანცელარიის მეცნიერების, კულტურის, განათლებისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსს
ბატონ კობა იმედაშვილს

ბატონო კობა,

ნება მიბოძეთ, თქვენი და სამეცნიერო-საგანმანათლებლო ცენტრი „ენა, ლოგიკა და მეტყველების" მომართვის საპასუხოდ გაცნობოთ, რომ აღნიშნული ცენტრისა და გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის მიერ შემუშავებული პროექტი „ბუნებრივი ქართული ენის პირდაპირი ფორმალურ-ლოგიკური აღწერა, ენის, როგორც ბუნებრივი სისტემის საფუძველზე" ითვალისწინებს ქართული ენის ფორმალურ-ლოგიკური მოდელის შემუშავებას, რაც აუცილებელია კომპიუტერული სისტემების ქართულ ენობრივ გარემოში მოსაქცევად.

გვსურს გაცნობოთ, რომ აღნიშნული საკითხი უდაოდ წარმოადგენს სახელმწიფო მნიშვნელობის ამოცანას და ყოველმხრივ მხარდასაჭერია.

ღრმა პატივისცემით,

თავმჯდომარე [signature] დავით თარხან-მოურავი